ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 1-3

15 იანვარი
"---"-------- 2016 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-28 დადგენილება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე”

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილი ცვლილება (საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 04.08.2015წ.), რომლითაც მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შემთხვევაში დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება გამგებლის/მერის სამართლებრივი აქტით.

მუნიციპალიტეტებში საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდებოდა ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლების მქონე შესაბამისი დაწესებულების (მისი ხელმძღვანლის) ნორმატიული აქტით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. შესაბამისად, მოქმედი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არის დამტკიცებული. ამრიგად, საჭიროა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით დამტკიცება, რადგან კანონით შეიცვალა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამდგენი ორგანო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში მოსაყვანია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ქვეპუნქტსა და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N __

__ _____ 2016წ.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-28 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-28 დადგენილება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი